N 29 27/02/2017

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი 3

დ. ჩოხატაური *17 თებერვალი, 2017 წელი*

სხდომის თავმჯდომარე- ვლადიმერ სიხარულიძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, გოჩა ჯიქია, რამაზი უჯმაჯურიძე, ოთარი სოროზანიშვილი, თემურ ხუხუნაიშვილი, დათო ვაჩეიშვილი, ალეკო კვინტრაძე,დავით გუდავაძე, მარინე ბერაძე, გოჩა თოდრია, კობა კალანდაძე, ზვიადი მამალაძე, მაია გიორგაძე, ირაკლი ახობაძე, მამია ბარამიძე,გოდერძი გოგიშვილი, კლოდი მდინარაძე.

არ ესწრებოდნენ: ზაალ მამალაძე, ქეთევან სიხარულიძე, ლაშა თოლორდავა, გიორგი რამიშვილი, ერეკლე უღრელიძე, უშანგი ართმელაძე, ალექსანდრე შარაშიძე,მალხაზ ჩხიკვაძე, დავით ტრაპაიძე, დავით შარაშიძე, მაია პაიჭაძე, გია გვენეტაძე,მანანა მინდაძე, შალვა ჩანტლაძე,დიმიტრი კორიფაძე, მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), რომანი ჯულაყიძე, არჩილ სიხარულიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

გია გიორგაძე- ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი.

სხდომას ესწრებოდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი- **ირაკლი კუჭავა.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2017 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში
დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, გოჩა ჯიქიამ, მარინე ბერაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 20

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 20 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2017 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში
დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

I საკითხი: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2017 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2017 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში
დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

ირაკლი კუჭავამ განმარტა თუ რამ გამოიწვია ამ საკითხის განსახილველად საკრებულოს სხდომაზე შემოტანა: ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, სადაც მოხდა თანხების გამოთავისუფლება, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მთავრობამ, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ნოტაში თანამონაწილეობის დასახვა. მუნიციპალიტეტს ამ შემთხვევაში 5% აქვს თანამონაწილეობა. ამან გამოიწვია, რომ ეს საკითხი კიდევ ერთხელ შემოგვეტანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად. მინდა გთხოვოთ ყველა დეპუტატს, რომ სანამ დაიწყება ეს პროცესი ყველა ჩართული იყოს ამ საქმეში. იცით, რომ სოფლის პროგრამა წელს არ იქნება, 750 ათასი ლარი ჩვენი თანამონაწილეობით ფონდიდან მოხმარდება პროგრამების განხორციელებას, კერძოდ: სოფლებში გზების შეკეთებას, იმ სოფლებში, რომლებიც ცხრილშია წარმოდგენილი. ზოგი სოფელი ამ პროგრამაში არ შედის, რადგან სხვა პროგრამებით ხდება იმ სოფლების მოასვალტება. დაახლოებით 50,0 ათასი ლარის ფარგლებში შევდივართ სოფლებში.

შეიძლება რომელიღაც სოფელს მეტი თანხა ჭირდება, მაგრამ დავაპროექტოთ ეს გზა და წელს 50,0 ათასი ლარის გავაკეთოთ, მომავალ წელს პროექტი უკვე მზად იქნება და გავაგრძელებთ მუშაობას. ასფალტზე და ბეტონზეა საუბარი. არავითარი მოხრეშვა. სანიაღვრეებს კი ადგილობრივი რესურსიდან მივხედავთ.

რაც შეეხება გოგიბერიძის ჩიხის მოასფალტებას, საკრებულოს სხდომაზე მე ვუთხარი ბატონ ი. ახობაძეს, რომ გოგიბერიძის ჩიხის იმ მონაკვეთს დავაპროექტებთ და ის ქუჩაც აუცილებლად მოასფალტდება. ამ ცხრილში არ არის შეტანილი ეს ჩიხი, მაგრამ სხვა ადგილობრივი რესურსით მოხდება მისი გაკეთება.

გოჩა ჯიქიამ შენიშნა, რომ 50,0 ათასი ლარი ერთ სოფელს არ ეყოფა. მოასფალტება დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მაინტერესებს, 750,0 ათასი ლარი ამ სოფლებზე თანაბრად გადანაწილდება თუ არა?

ირაკლი კუჭავა: ნაწილი გაკეთდება ამ თანხით წელს, ნაწილი მომავალ წელს. პროექტი არსებობს და დანარჩენი რაც დარჩება გასაკეთებელი, მომავალ წელს გაკეთდება. თანხა დაახლოებით თანაბრად გადანაწილდება. შეიძლება ზოგ სოფელს ცოტა მეტი დაჭირდეს 50,0 ათას ლარზე და ზოგ სოფელს უფრო ნაკლები, რომ პროექტირება ბოლომდე დასრულდეს. ეს თანხა არის აღებული საშუალოდ. კონკრეტულად ამას წინასწარ ვერ გათვლი.

ირაკლი ახობაძე- მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურთან გავარკვიე, რომ სოფ. ხიდისთავის ხიდი ჩვენს ბალანსზე არ ყოფილა. ვფიქრობ, რომ ის, რაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, ავიყვანოთ მუნიციპალიტეტის ბალანსზე. ამით გათანაბრებითი ტრანსფერი იზრდება.

20 დეკემბერს უნდა დამთავრებულიყო ბუკისციხის გზის მშენებლობა და გადაიწია. 180,0 ათას ლარიან პროექტზე კორექტირება მოხდა ხარჯთაღრიცხვით 90,0 ათას ლარზე, ანუ სამუშაოს ნახევარზე. კორექტირება მოხდა სამუშაოს შესრულების 50%- ზე.

ირაკლი კუჭავა: გაძვირებული არ არის არც ერთი თეთრით. ტექნიკურადაც ყველა ნიუანსი დაცულია. მე ამ თემას არ გავექცევი არასდროს და არც ვაპირებ. თუ სხვა შეკითხვები არ არის,პროექტის შესახებ დეტალურად სამსახურის უფროსი წარმოგიდგენს ინფორმაციას.

პრიორიტეტებში გვაქვს გოგიბერიძის ჩიხის მოასვალტება და ეს ჩიხი გაკეთდება აუცილებლად, და ეს არც ისე დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

გოჩა ჯიქია დაინტერესდა საიდან და როგორ მოხდა ამ თანხის ასე განაწილება. სულ თანხა 750,0 ათასი ლარია, დასაფინანსებლად შერჩეული იქნა 13 სოფელი და თუ ერთ სოფელზე 50,0 ათასი ლარია გამოყოფილი, მაშინ 100,0 ათასი ლარი რჩება კიდევ. რა პრინციპით შეირჩა 50,0 ათასი ლარი ერთ სოფელზე?

გია გიორგაძე: ეს არის საშუალოდ აღებული თანხა, 50,0 ათასი ლარიდან მეტი მოხმარდება ან ცოტა ნაკლები, ზუსტ ხარჯს წინასწარ ვერ განსაზღვრავ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მიღებულია განკარგულება: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2017 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ვლადიმერ სიხარულიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ხელმძღვანელობა